სანოტარო აქტი

საქართველო ქ. თბილისი

ორიათასთცამეტი წლის ხუთ აგვისტოს მე, ნოტარიუს თინათინ დევდარიანს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ.თბილისი, ირ. აბაშიძის №39, ბინა №23-ში მომმართა *თამარ ტაბიძემ (დაბადებული 25.01.1960წელს თბილისში, ი, ჭავჭავაძის გამზ. №19, პირადი №01008001960)* და განაცხადა, რომ არის შპს ,,საპოვნელა"-ის *(განაცხადის №* 641212 *განაცხადის რეგისტრაციის ნომერი №*B13073724, *ამონაწერის მომზადების თარიღი* 25.07.2013, *საიდენტიფიკაციო №*204872398, *სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი* 25.09.1995*) დირექტორი* და გამოხატა სანოტარო აქტის (მინდობილობის) შედგენისა და მისი სანოტარო წესით დადასტურების ნება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად *თამარ ტაბიძემ* მომმართა. ასევე მე დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა და მინდობილობის შინაარსი, შემდეგ შევადგინე მინდობილობა, რომელიც წავუკითხე და განვუმარტე მას. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და უფლებამოსილება და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მაქვს. მან წაიკითხა მინდობილობა და მკაფიოდ განაცხადა, რომ იგი ზუსტად გამოხატავს მის ნებას და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას:

მინდობილობა

ორიათასცამეტი წლის ხუთ აგვისტოს *თამარ ტაბიძემ,* როგორც *შპს „საპოვნელა"-ს დირექტორმა,* წინამდებარე მინდობილობით *გიორგი ვოსკანიანს (დაბადებული 21.02.1976წელს თბილისში, პირადი №01008017872),* მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:

იყოს მისი, როგორც შპს-ს დირექტორის წარმომადგენელი *მერის არქიტექტურის სამსახურში,* შეათანხმოს პროექტი, გარე ფასადის მოწყობაზე, მიიღოს ნებართვა და ხელი მოაწეროს საჭირო დოკუმენტაციას.

ეს მინდობილობა გაცემულია ორი თვის ვადით.

ეს მინდობილობა შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი რჩება ნოტარიუსის, თინათინ დევდარიანის, სანოტარო არქივში.

დანართი: *(განაცხადის №* 641212 *განაცხადის რეგისტრაციის ნომერი №*B13073724, *ამონაწერის მომზადების თარიღი* 25.07.2013, *საიდენტიფიკაციო №*204872398, *სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი* 25.09.1995*)*

გადახდილია სახელმწიფო ბაჟი *10.00 (ათი) ლარი,* 2011წლის 29 დეკემბრის საქართველოს მთავრობის №507 დადგენილების, **„სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის სახელმწიფო ბაჟისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ"** და 2 ლარი „სანოტარო რეგისტრაციის საფასური' ზემოთმითითებული კანონის 39-ე მუხლის მოთხოვნით, ასევე საქართველოს საგადასახადო კოდექსის მუხლების მოთხოვნათა შესაბამისად 1.80 ლარი დღგ, სულ 13.80 (ცამეტი ლარი და ოთხმოცი თეთრი) ლარი.

ნოტარიუსი თინათინ დევდარიანი

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

07760400630913

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N130795567

რეგისტრაციის თარიღი

05.08.2013 წ

ნოტარიუსი: თინათინ დევდარიანი

მისამართი: ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქუჩა N39

ტელეფონი: 229-35-11

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18